

287 83

287 83

287 1 83

287 1 83

6 150100

287 1 83

83.

26 აპრილი, 1947

1

[Handwritten signature and scribbles]

აკაკი თოფურია

ქრონიკები ლეო ქიაჩელის ცხოვრებიდან

ლიბერალური წრეების წევრი

თავის თბუღებათა ოთხტომეულის პირველი ტომისათვის წამდგარებულ წინასიტყვაობაში ლეო ქიაჩელი წერდა: „თუმცა ჩემი ლიტერატურული მუშაობა უმთავრესად საბჭოთა პერიოდში მიმდინარეობდა და ყველა ჩემი მთავარი ნაწარმოები — როგორც მოთხრობები და ნოველები, ისე რომანები — გამარჯვებული სოციალიზმის ეპოქის განმავლობაში დაიწერა და გამოქვეყნდა, მე მაინც საჭიროდ დავინახე ჩემი შემოქმედების ვითარების სრული ჩვენებისათვის ამ ტომში შემეტანა წინათ დაწერილი რამდენიმე მოთხრობაც, როგორც ამსახველი ჩემ მიერ განვლილი გზისა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი ერთგვარად ააშკარავებს იმ დროს გაბატონებულ ლიტერატურულ განწყობილებათა ზეგავლენას, მაინც ოდნავადაც ვერ ჩრდილავენ ჩემი შემოქმედების მთავარ რეალისტურ სტილს“.¹

მკითხველის სწორი ორიენტირებისათვის დაწერილი ავტორის ეს მცირე განმარტება ჩვენგან მოითხოვს, პირველ რიგში, იმ თავისებურ სიზოგადოებრივ-ლიტერატურულ გარემოს გარკვევას, რომელშიაც ქიაჩელს მოუხდა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა.

მოკლედ შევეხთ თვით ამ გარემოს.

ცნობილია, რომ მაქსიმ გორკიმ რეაქციის წლებს იდეური სიცარიელის „სამარტხვინო ათი წელი“ უწოდა. რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხებამ დიდი სულეიერი კრიზისი გამოიწვია განსაკუთრებით ინტელიგენციის იმ წრეებში, რომლებიც გამსჭვალული იყვნენ წვრილბურჟუაზიულ-მეშჩანური განწყობილებებით. რევრლუციონერებზე თავდასხმა და მ-

თი პიროვნების უხეშად შეზღაღვა იქცა იმ დროის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად. სწორედ ამან განაპირობა თავდაზნაურულ-ბურჟუაზიული დაცემულობის გამოხატულების — დეკადენტიზმის წარმოშობა და მისი გავლენის სფეროების გაძლიერება 1910-იანი წლების რუსულ ლიტერატურაში.

1905 წლის რუსეთის რევოლუცია განმათავისუფლებელი მოძრაობის წინა ეტაპების ლოგიკური შედეგი და გამოხატვა იყო. მაგრამ იგი იყო, ამავე დროს, შემდგომში ისტორიულად გარდუვალი გამარჯვების წინამორბედი. რევოლუციურ მოვლენათა განვითარების ეს ურყევი კანონზომიერება არ ესმოდათ და არც სურდათ გაეგოთ რუსეთის წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის იმ გარკვეულ ნაწილს, რომელთა რიგებში წამოიზარდა და განვითარდა რუსული დეკადენტიზმი. 1907-1910-იან წლებში რუსული ლიტერატურა ავადმყოფურად მოიცვა მისთვის სრულიად უცხო მოდერნისტულ-დეკადენტურმა მიმდინარეობამ, რომელსაც იმ ხანებში საათვეში ედგნენ უმთავრესად ჟურნალები: „აპოლონის“, „ვესის“, „ზოლოტოი რუნოს“ გარშემო შემოკრებილი პოეტები და მწერლები: ლ. ანდრეევი, მ. არცაბაშევი, ფ. სოლოგუბი, ა. ბელი, ა. კამენსკი, ზ. გიბიუსი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ამავე ხანებში მოსკოვში სამხატვრო თეატრისა და სხვა თეატრების სცენებზე განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ბელგიელი მწერლის და დრამატურგის, სიმბოლიზმის ერთ-ერთი გამომჩენილი თეორეტიკოსის მორის მეტერლინკის ერთმოქმედებიანი პიესები: „დაუპატიყებელი“, „ბრმები“, „იქ, შიგნით“ და სხვა.

დამწყები მწერალი ლეო ქიანელიც სწორედ ამგვარ გარემოში გამოვიდა შემოქმედებით სარბიელზე მოსკოვში არალეგალურად ცხოვრების დროს. აქ იგი დაუკავშირდა მოსკოვის ამდროინდელ ლიტერატურულ წრეებს, ესწრებოდა მოსკოვის თეატრების დადგმებს, ლიტერატურულ დისპუტებს და პირადად იცნობდა მთელ რიგ რუს სიმბოლისტ მწერლებს — კერძოდ, ვ. ბრიუსოვსა და ა. ბლოკს.

ყოველივე ამის შედეგად სავსებით კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ პირველი სადებიუტო რეალისტური მოთხრობების („წარსული აწმყოში“, „ნაწყალდიდევზე“, „მამა ოქრობირი ცაცხვს ძირში“) გვერდით მის აღრინდელ შემოქმედებაშივე იმ დეკადენტურ-სიმბოლისტური მოტივების გამოვლენა, რომელსაც ვხვდებით სწორედ 1910-1912 წლებში მოსკოვში ცხოვრების დროს დაწერილ ნოველებში — „სტეფანე“, „ცოდვის შეილება“, „ჯადოსანი“, „დავითის მალღობზე“, „მიუწვდომელი სიმი“ და სხვ. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

ნოველაში „სტეფანე“ (1910) მეთევზე სტეფანე განუდგა სოფელს, საზოგადოებას, ჩვეულებრივ ადამიანურ ყოფას და სიტყვიერი მეტყველების ნაცვლად იწამა მხოლოდ მღვდმარება, რომელიც მისი აზრით ადამიანის სულის უმაღლესი გამოხატულებაა. მას თითქოს თევზების ენა, მათი ლაპარაკი და იღუპილება უფრო აქვს შესწავლილი და გაგებული, ვიდრე მის გარშემო მცხოვრები ჩვეულებრივი ადამიანებისა. ამ უსიტყვო და უენო არსებებში ხედავს ის მორალურ სიწმინდეს. სტეფანეს ერთადერთი მეგობარი ჰყავს მთელ სამყაროში და ისიც მუნჯია. ამ ორი ადამიანის მუნჯური ლაპარაკი უცნაურ შთაბეჭდილებას სტოვებს. მათ ერთმანეთს ესმით გასაოცარი ქვეშეცნეული ძალით, და რამდენადაც უუნარო, უმოქმედო და უბადრუკია ძოკო, იმდენად გაუგებარია მისთვის სოფლის გლეხკაცთა გამუდმებული შრომა, შეუჩერებელი მოძრაობა, სიცოცხლის ძახილი და მიზანი. მწერალი განსაკუთრებული გულმოდგინებით აღწერს მათ შეხვედრას ყოველ დილით, განთიადისას, სოფლის განაპირა ადგილას.

ერთხელ სტეფანე ჩვეულებრივზე უფრო ადრე წავიდა სათევზაოდ. ჯერ კიდევ ბნელადა, როცა იგი ბადით ხელში გამოვიდა სახლიდან. ცისკრის მოწითალო კალთის კიდური აღმოსავლეთით ცას შეჰფინებოდა. გარემო ათრთოლებულიყო. წამავალი ღამის მძიმე სუნთქვა განთიადის მოახლოების ჟრამულს შეეროდა. მოდუღუნე მდინარე ღამის ზღაპარს ათავებდა. სოფელს კი ეძინა.

სტეფანეს ახლაც იქ დახვდა ძოკო სადაც ყოველ დილას ხვდებოდა ხოლმე, მიესალმნენ ერთმანეთს მეგობრები და გაჰყენენ მდინარეს. ცოტა ხნის შემდეგ შესდგნენ... სტეფანე იქვე

ხის ძირში ჩამოჯდა, ძოკო გვერდით მიუჯდა. მეგობრები სდუმდნენ და ისე უგდებდნენ ყურს ერთმანეთს.²

როგორც ვხედავთ, აქ სინუმი და მღვდმარება ნივთიერ, მატერიალურ ცხოვრებაზე მალა დაყენებული და წარმოდგენილია ამ ორი ადამიანის უნეტარესი სულიერი სიცოცხლის საფუძვლად. ძოკოსა და სტეფანეს არც არაფერი აწუხებთ ამ ქვეყნად და არც არაფერი იზიდავთ. მათი ცხოვრება შინაარსისაგან დაცლილია. მათ არსებობას არა აქვს სოციალური აზრი, საზოგადოებრივი დანიშნულება და გამართლება. და აი სწორედ მათი ურთიერთობის ასეთ ბუნდოვანებაშია ჩამარხული სიმბოლიზმის მიერ გამოგონილი ე. წ. ტრანსცენდენტური სამყაროს საიდუმლოება. ამ სამყაროში შეჭრის შესაძლებლობას იძლევა არა ბევრებით და სიტყვებით გამოხატული აზრი და მეტყველება, არა გრძნობებში აღძრული მაცდური ემოციები, არამედ ღუმელში შეხვედრილი სულების უხილავი მოძრაობა. — ასეთია ნოველის ძირითადი სიმბოლისტური ჩანაფიქრი, მეტერლინკისეული „დოქტრინების“ გამოძახილი.

ეს კიდევ უფრო ნათლად გასაგები იქნება, თუ ყურადღებით ჩავუკვირდებით დასახელებული ნოველის ერთ ადგილს, სადაც კვირბულეს მეზობლის ოჯახში სტეფანეს სტუმრობით გამოწვეული მხიარულების საინტერესო ეპიზოდია აღწერილი. ძველი ცაცხვის ჩრდილქვეშ მოგროვილ მეზობლებს შორის მოხვედრილმა სტეფანემ დიასახლისს წყალი სთხოვა. ეს ჩვეულებრივი, ყოველდღიური ამბავი უცებ მოულოდნელი სიცილის და უჩვეულო მხიარულების გამომწვევ ფაქტად იქცა. ჩვეულებრივ ყოფით მოვლენაში რაღაც საოცარის აღმოჩენა — ნაცადი სიმბოლისტური ხერხია.

სტეფანეს უკვირს მეზობლების ასეთი საქციელი, მაგრამ ბუნებით თვითონ მხიარულს, განსაკუთრებული არაფერი დაუნახავს მასში. მაგრამ განსაკუთრებული მისი დიალოგია მეზობლებთან.

„—გაშენათ ღმერთმა. კარგ გუნებაზე ყოფილხართ. — თქვა სტეფანემ. — დიდი ხანია ასეთი მადლიანი სიცილი არ გამიგონია. კარგი ამბავია!

— ამბავს ჯერ კიდევ მოველით შენგან! — უბასუხეს.

— უკეთესს ვერაფერს გიამბობთ!

— ტყუილია! რომ არ გიამბნია?

— მაშ რისთვის იცინოდით? განა ამბავი მხოლოდ სიტყვით ითქმის? ყველაზე უკეთესი ამბავი ის არის, რომელიც უსიტყვოდ ესმის ყველას. აი ისეთი, რომელიც ამას წინათ გიამბეთ.

— ტყუილი, ტყუილი! — და ქალებმა გადაიკისკისეს.

2

— თუ ვერ გავიგონებთ, რაღა ამბავია? — გაიკვირვეს მამაკაცებმა.

— გავონება მაინცა და მაინც რა საჭიროა... მართალი ვითხარბ, არც მე მოველოდი, თუ ასე შექცეული უსიტყვოდ ამბის მბობას⁴.

აქ მწერლის მიერ გარკვევით და პირდაპირ არის ნაჩვენები ის უხილავი კავშირი, რომელიც თითქმის, მისი აზრით, არსებობს ცხოვრების ყოველდღიურ მოვლენებსა და მის იქით, მის მიღმა ჯერ კიდევ შეუცნობ და განუჭვრეტელ საგნებს შორის. მათი შემაერთებული ხილი „უსიტყვოდ მეტყველებს“. უნდა წარმოიდგინო ის, რაც ითქვა ღუმელში, ბაგეებისა და ბგერების რხვეის გარეშე, სულის უცნაური და უსაზღვრო მოძრაობის დროს. — ასეთია ნაწარმოების მთავარი აზრი, რაც უეჭველად არათუ აახლოებდა, არამედ ერთხანს მკიდროდ და მტკიცედ აკავშირებდა მას სიმბოლისტურ-დეკადენტური სკოლის ერთ-ერთ მამამთავართან — მეტერლინკთან.

ეს სიახლოვე კიდევ უფრო საგრძნობი გახდება, თუ ანალოგიისათვის პარალელს გავაგებებთ მეტერლინკის ერთმოქმედებიან პიესა „დაუბატოებელსა“ და ქიაჩელის ნოველას შორის, რომელსაც ეწოდება „დავითის მალ-ლობზე“. ხსენებული პიესა, როგორც აღვნიშნეთ, მოსკოვის სამხატვრო თეატრის 1908-1910 წლების რეპერტუარში შედიოდა და მისი დადგმა არაერთხელ აქვს ნახული ქიაჩელს. პიესის ერთ ეპიზოდში ავადმყოფის სიკვდილი განთიადისას — ემოხვევა მეზობელი მთიბავის მიერ ცელის ლესვას. მთელი დამე მის ოთახში მდუმარება სუფევდა. ექიმის მოსვლის მოლოდინში ახლობლების ჩვეულებრივ ყოფით საუბარს მეორე ოთახში უცნაურ იერს ანიჭებს ის, რომ ავადმყოფთან შესასვლელი კარი მოულოდნელად გაიჭედება. ეს სიკვდილი გაიხერგა კარების დირეში და მომვლელებს არ უშვებს შიგნით. მთიბავის ცელის ლესვის ხმან გააძლიერა ეჭვი და როცა კარისუფლები ავადმყოფთან შედიან, ის უკვე მკვდარი იყო.

ქიაჩელის ნოველაში დავითის მეუღლე ელისაბედი ქმრის ღალატით დასევდიანებულია. ბოლოს ავად ხდება. მოსამსახურე ლუკას ექიმი მოჰყავს. ამის შემდეგ ამბის მთხრობელი განაგრძობს: „ექიმი დიდხანს დარჩა ელისაბედის ოთახში. წამლები გამოგვიწერა, დაგვაშვიდა, გვანუგეშა და წავიდა. ერთხანს მთელი სახლი გაჩუმებული იყო. ექიმის მოსვლამ და მისმა სიტყვებმა ყველაზე კარგად იმოქმედა. ელისაბედს დაეძინა. იმის ოთახიდან გავიდა ყველა, გარდა ორი მომვლელი ქალისა, რომლებიც ჩვეულებისამებრ მოსული იყვნენ დამის სათევად... გულის შემზარავი ხმით, შემადრწუნებლად ჭოტი ჰკიოდა. გამიგონია, ჭოტის კვილი სიკვდილის მომასწავებელიაო. სიკვდილი თავისი ცელით მსხვერპლს დაეძებს...

დილის განთიადი რიქრატად ეფინებოდა დედამიწას, როდესაც საშინელი კვილი შემომესმა, ელისაბედი გარდაიცვალა“⁴. ორივე შემთხვევა — მთიბავის ცელის ლესვა და ჭოტის კვილი — აქ სიკვდილის წინათმგრძნობ სიმბოლოებად გვევლინება.

1911 წელს „სახალხო ვაზეთში“ გამოქვეყნებულ ერთ პატარა ნოველაში „მიუწვდომელი სიმი“ ქიაჩელი ასეთ ამბავს გადმოგვცემდა: სოლომონს სძინავს თავის ბაღში. აი, თვალნათლივ ხედავს ის საოცნებო სიმს, რომლის ჰარმონიული ხმები იტაცებს, იზიდავს მას და მასთან ერთად მთელ ბუნებას, გარე სამყაროს. სოლომონს სურს ხელი შეახოს მიბნედილს სინათლეზე მის წინ მოელვარე ამ მომაჯადოებელ სიმს, მაგრამ იგი ვერ წვდება მას, ვერც ხელით და ვერც გონებით შეიცივებს მის საიდუმლო ძალას და ამისგან იტანჯება.

„არის რაღაც იდუმალი ხმა, იდუმალი ქვეყანა, — წერდა ქიაჩელი ამ ნოველაში, — რომელიც ჩვენთვის მიუწვდომელია, მაგრამ რომელსაც ჩვენ ვგრძნობთ მთელი ჩვენი არსებით. საიდუმლო და მიუწვდომელი სიმები გაბმულია მთელ სამყაროში. მისი მომჯადოებელი ხმები ისმის ბუნებაში, ადამიანის სულსა და გულში. ჩვენ ყოველთვის ვგრძნობთ მათ არსებობას, მაგრამ არ ვიცით, საიდან არიან და რანი არიან ისინი. მრავალი საიდუმლოება დამალული ადამიანის აღმულებში... და იბადება უძლეველი სურვილი ფარდა აეხადოს ამ საიდუმლოებას“⁵.

ბუნების საიდუმლოებათა შეცნობისაკენ, მიუწვდომელის მიწვდომისაკენ სწრაფვას ქიაჩელი მიჰყავდა ყალბი, უიდეო, საზოგადოებრივი მნიშვნელობის თვალსაზრისით მიუღებელი ნაწარმოებების შექმნისაკენ. „პატარა ისტორიაში“, არცბაშევის მსგავსად, იგი არც თუ სახარბიელოდ ხატავდა რევოლუციონერ-სოციალისტ ბესიკს, რომელიც გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ სახედარზე უკუღმა შემჭდარი ხალხის სამასხროდ დადიოდა სოფელში. საზოგადოებრივი მოვლენებისადმი სრული ინდიფერენტობი — აი რა განსაზღვრავდა ძირითადად ქიაჩელის მოსკოვის პერიოდის დეკადენტურ ნაწარმოებთა მოქმედი პირობის ხასიათსა და მოქმედებას, მათს ადგილს საზოგადოებაში. ესენი იყვნენ უმეტესად ავზნიანი, რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილი ადამიანები, რომელთაც არ გააჩნდათ საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი რაიმე ინტერესი და მისწრაფება, გარდა ქვეშეცნეული ბილწი გრძნობებისა (მაგალითად, ჯვებე და ბეკო ნოველიდან „ცოდვის შვილები“, ტაგუ ნოველიდან „ჯიდოსანი“).

ამავე პერიოდის (1910 წელს დაწერილი) სიმბოლისტურ-დეკადენტური ნაწარმოებებიდან თავისი ფორმითა და შინაარსით მკვეთრად

ფლორინევა 1913 წელს „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ოთხმოქმედების დრამა-პოემა „სამდედიშვილი“, რომელსაც საფუძვლად დაედო სამი ღელის შვილები სოფელში გაგონილი ზღაპარ-ლეგენდის სათავადასავლო სიუჟეტი.

ნაწარმოებში მოქმედი პირების თვით სახელებიც კი თავისებური და წმინდა ფანტაზიის ნაყოფია. ჩამალა, ვაწუკა, ელნათი, ცეცხლანა, ჰაერმანა თუ ფრთოსანა ერთგვარად მიგვანისვენებენ, რომ აქ მწერალი მოწყვეტილია რეალურ სამყაროს. ტყე გაყოფილია ორ ნაწილად, ერთ მხარეს სიბნელეა, ხოლო მეორეგან სინათლე. ბნელი ნაწილიდან დროგამოშვებით ჭარი დაჰბერს, მაშინ ტყვეც აშრილდება, შეინძრვიან ხეები, ქვები. იძვრის მიწაც და რაღაც გამაყრუებელი ხმაური ისმის. შემდეგ ისევ სიჩუმე გამეფდება. ბუნების ამ ქიდილს არღვევს ადამიანების გაურკვეველი წამოძახილები. ამ ადამიანებს მზის სხივი ენატრებათ, ენატრებათ ცაზე მოკიადე ვარსკვლავების მზერა. მათ ეშინიათ მიწაზე ყოფნის და ხეზე ასულან. ხალხს გზის გაკვლევა სურს, მაგრამ წინ საგალი გზა ეკლიანია და საშიში. უკან კი გამუდმებით მოისმის მოძმეთ ტირილი, კენესა და ვაი-ვაგლახი. უკან მიწაც და წყალიც ადამიანებს ემტრება. იქ მხოლოდ წინაპრების სიმაგრეა და წყვედიადმი ჩანთქმული მონადქცეული სოფელი. გზა არავინ არ იცის. მათში ყველაზე ყოჩაღი ელნათი მიიწევს წინ და უნდა ხალხიც გაიყოლოს. ელნათს გზად მრავალი დაბრკოლება ხვდება, მალე ჰკარგავს მხედველობას, ხოლო შემდეგ იღუპება. იღუპება მისი მიმყოფი ხალხიც. ასე მთავრდება დრამა-პოემის პირველი მოქმედება.

დრამაში მხოლოდ ამის შემდეგ გამოჩნდება მთავარი გმირი, რომელსაც მწერალი დიდი სითბოთი და სიყვარულით ხატავს. სამდედიშვილი ჯერ პატარა გმირია, მაგრამ მის სულში ღრმად არის გამჯდარი სამყაროს შეცნობის წყურვილი, მშობლებისა და ხალხის სიყვარული. იგი მზადაა თავგანწირულად იბრძოლოს სამყაროსა და ხალხის ბნელეთისაგან გადასარჩენად. მას აინტერესებს გაიგოს, რას ბუტბუტებს წყარო კამკამა, რატომ არიან ნაღვლიანი ღედები. მან იცის, სჯერა, რომ მის სხეულში უზადო ენერჯიაა დაგროვილი, რომ იგი სძლევს ყოველგვარ ბოროტებას და ხალხს ბედნიერებას მოუტანს, ოღონდ კი მიზეზი შეიცნოს. მას განზრახული აქვს წყაროსაც კი შეუცვალოს ჰანგები, მზესაც კი სხვანაირი სხივი შემატოს, ჰაერიც კი უფრო წმინდა გახადოს.

სამდედიშვილს, ამ ცნობისმოყვარე და მეოცნებე ჭაბუკს, ბაბუა უმხელს ხალხის საწადელს, რომ ადამიანებს თავისუფლება და სინათლე სწყურიათ, რომ ამაზე ლოცულობენ ისინი, რომ ქვეყანა ბნელეთს მოუტავს, რომ

მისი ბედნიერება დამოკიდებულია „მზის თვალზე“, რომელიც მღვდებს ცის დახმარებით გამოქვამულში ჰყავთ შეპყრობილი.

მის მოპოვება — გამარჯვებაა,
 არ მოპოვება — ცხოვრება შავი,
 კენესა, ტირილი, მოთქმა-ცრემლები,
 მონობა მწარე გულშემზარავი“.7

სამდედიშვილი გადასწყვეტს მიწას დაუბრუნოს სინათლე. მოხუცის ლანდი თანდათანობით ჰქრება, მისი ძლიერება ვადადის სამდედიშვილში და ჭაბუკი გრძობს აქამდე უცნობ ძალას, იგი დარწმუნებულია თავის გამარჯვებაში და ბაბუას მშვილდისრით შეიარაღებული გაუდგება გზას. ეძებს ბედნიერების სიმბოლოს — „მზისთვალს“.

ნისლში გახვეულია მღვდების სამყოფელი. სამდედიშვილი ამაყად, მედგრად მიიწევს წინ და ყოველგვარ წინააღმდეგობას ვაჟკაცურად უმკლავდება. ბოლოს სამდედიშვილი გმირულად გაათავისუფლებს „მზისთვალს“ და უბრუნდება საკუთარ მხარეს. ტანჯული ადამიანებიც სიმღერით უბრუნდებიან თავიანთ კერას რაინდთან ერთად, მაგრამ ეს ზეიმი ხანმოკლე გამოდგა. სამდედიშვილის დაუფიქრებელი ნაბიჯით გათავისუფლებული უცნობი სინათლეს და ელვარებას მოაკლებს „მზისთვალს“. ხალხი მიღწეულით მაინც კმაყოფილია, სამდედიშვილისათვის კი ყველაფერმა დაჰკარგა ფასი. იგი მიდის ისევ „იქ... შორს...“ გაურკვეველ სივრცეში. და ამით იხურება თარდაც.

რა უნდოდა ეთქვა მწერალს ალეგორიებით სავსე ამ ზღაპრისმაგვარი ნაწარმოებით? აქ სამდედიშვილი შეიძლება ერთგვარად მწერლის პროტოტიპადაც წარმოვიგვიდგავს. სამდედიშვილის ოცნება ლამაზია და ჯანსილი, მაგრამ მას კონკრეტული მყარი ნიადაგი არ გააჩნია. ნაწარმოებში გვხვდება ენობრივად მეტად მძიმე, გაუგებარი ადგილები და ხელოვნურად შექმნილი კომპოზიციები („იქმუნ-იმწუხარე“, „ამალ-ადიდი“, „მოცურდ-მოფრინდი“ და სხვ.), რომლებიც კიდევ უფრო ართულებენ და აბუნდოვებენ მას. ერთი იმდროინდელი კრიტიკოსი განიხილავდა რა „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე ქიაჩელის „სიმბოლიური ხასიათის დრამას“, აღნიშნავდა, რომ „მხატვრული მხარე სრულიად არ შეეფერება იმ იდეას, რომელიც ავტორმა გაშალა „სამდედიშვილში“ და ამიტომ იგი უხორცო და უფორმო ზღაპრის შთაბეჭდილებას ახდენს“.8 მიუხედავად ამისა, „სამდედიშვილი“ მაინც მნიშვნელოვან მასალას იძლევა 1910-იანი წლების ლეო ქიაჩელის შემოქმედებით ლაბორატორიაში რთული წინააღმდეგობრივი პროცესების წარმოსადგენად და გასათვალისწინებლად.

ცხადია, ასეთი ნაწარმოებები შეუთავსებ-

...ბრე კიორსეტს

ლი იყო ქიაჩელის იდეურ-ესთეტიკური მრწამსისა და პრაქტიკულ-რევოლუციური მოღვაწეობის პირველი პერიოდისათვის. იგი აქცევდა მას ინდივიდუალიზმის, მისტიციზმისა და დეკადენტიზმის ვიწრო ჩარჩოში, რასაც არ შეიძლება ძიება დიდხანს შერიგებოდა ისეთი საღი და ნათელი მხატვრული აზროვნების მწერალი, როგორც იყო ქიაჩელი. ეს იყო მის შემოქმედებაში შინაგანი ძალების მოსინჯვის, ლიტერატურული წრთობის, საკუთარი ხმის ძიების პერიოდი, როცა ის გზებს იკაფავდა დიდი და ძლიერი, ნამდვილი და უზადო შემოქმედებისაკენ, როცა ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყო ქეშმარიტი ხელოვნების ნამდვილ არსში. ამით აიხსნება, რომ ლეო ქიაჩელის ადრინდელ შემოქმედებაშივე ერთმანეთს ებრძვის რეალიზმისა და დეკადენტიზმის გამომხატველი ტენდენციები. ამ მხრივ, მეტად საყურადღებოა ამავე ხანებში დაწერილი ნაწარმოებები: „წუთისოფელი“, „ტყუილი და მართალი“, „მამა ოქროპირი ცაცხვის ძირში“ და სხვ. ისინი ძირულად განსხვავდებიან ზემოთ დასახელებული ნაწარმოებებისაგან ცხოვრებისეული სიმართლით, მხატვრული გაანზრებით, დეტალების, საღი ადამიანური გრძნობებისა და განცდების გადმოცემის სისწორით. „წუთისოფელში“ ქიაჩელი მხატვრის თვალთა აგვიწერს სოფლის ცხოვრების რეალისტურ სურათს. მასში მთავარი მოქმედი პირია პატროსანი, შრომისმოყვარე ქერივი ქალი მართა, რომელმაც მძიმე შრომითა და ტანჯვით გამოზარდა სახელოვანი ვაჟკაცი ანდრო. იგი პოლიტიკურად გათვითცნობიერებული, იმ დროის საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური მონაწილე ახალგაზრდაა, რომელიც ქალაქში ცხოვრობს და მუშაობს. სოფლად დედის სანახავად ჩასული ანდრო ახალგაზრდებს უამბობს საკვირველ ამბავს:

„რევოლუცია რომ მოხდება, ცხოვრება სხვანაირად მოეწყობა. ეკლესია გაუქმდება, ჯვარისწერა არ იქნება, მიწა გლეხების იქნება, ქარხნები კი მუშების“.

ასეთი შინაგანი სულიერი ბრძოლის გზით უახლოვდებოდა ქიაჩელი თავისი შემოქმედების ერთ-ერთ წამყვან თემას — 1905 წლის რევოლუციის თემას. მაგრამ ეს დაახლოება, გარდა პირადი გამოცდილებისა, მწერლისაგან მოითხოვდა დამატულ შემოქმედებით მუშაობას, მხატვრული სიტყვის სრულყოფას.

მაგრამ მოსკოვში ყოფნის წლებში ქიაჩელს არ ჰქონდა პირობები ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის. დედისგან მატერიალური დახმარების მიღება მეტწილად ძნელდებოდა, რაც აიძულებდა მას ხელი მოეკიდებინა რეპეტიტორობისათვის რუსულ ენაში. ეს კი, ბინის ხშირ ცვლასთან ერთად, მის შემოქმედე-

ბით მუშაობას კიდევ უფრო ამძიმებდა და აბრუნებდა.

ენიზრანტად შენევაში

ამ გართულებას 1912 წელს მოულოდნელად მეორე, უფრო სერიოზული და სახიფათო გართულება დაემატა. 1812 წლის სამამულო ომის ასი წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებით გათვალისწინებული იყო 1912 წლის სექტემბერში მოსკოვში მეფის ჩამოსვლა. პოლიციისა და ქანდარმერიის დეპარტამენტებს საიდუმლო ბრძანება ჰქონდათ მიღებული მოეხდინათ ქალაქის საპასპორტო რეჟიმის ძირფესვიანი შემოწმება, რათა გაეწმინდათ იგი საექვო, „არაკეთილსაიმედო ელემენტებისაგან“. არალეგალური ცხოვრება მეტად სახიფათო გახდა.

ამ ხანებში ქიაჩელი მოსკოვის თავისუფალი კომერციული ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტად ითვლებოდა. მას არ შეეძლო ხარკოვის უნივერსიტეტში დაბრუნება, არც საბუთების აღდგენა. უჭირდა მისამართების ხშირი გამოცვლა. მაგრამ, ასე თუ ისე, ფარულ ცხოვრებას მაინც ახერხებდა. კომერციულ ინსტიტუტში შესვლაც თავისუფალი იყო, ლექციებზე დასწრებაც და სწავლაც. ასეთი პირობები ზედგამოჭრილი იყო მისთვის, და აი უბედურება! ყოველივე ეს უნდა მიეტოვებინა. ეს მეორედ უხდებოდა უმაღლეს სკოლაში სწავლის გაგრძელება და მისი იძულებით შეწყვეტა. მაგრამ ამაზე უფრო მეტი. სადარდებელი სასტიკი შემოწმების რკალიდან თავის დაღწევა იყო.

ეს ფაქტი, რომ მოსკოვის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დახმარებით (სხვანაირად შეუძლებელი იყო) ქიაჩელს საზღვარგარეთ წასასვლელად საჭირო ვიზა და საბუთები გაუმზადეს, რომ მან უვნებლად მოახერხა რუსეთიდან გაპარვა და შვეიცარიის იმ ქალაქში ჩასვლა, სადაც რეაქციის პერიოდიდან რევოლუციონერების დიდი ნაწილი ცხოვრობდა, მოწმობს, რომ მას საესებით არ გაუწყვეტია კავშირი ამ ორგანიზაციასთან.

ეს მოხდა 1912 წლის აგვისტოს დამლევს, მოსკოვში ოთხი წელიწადი და თერთმეტი თვის ცხოვრების შემდეგ. რუსეთის საზღვარზე დარჩა დაქერის გამუდმებული შიში. საზღვრის იქით, ევროპაში, მან იგრძნო პირველი შეება, თავისუფლება, მაგრამ რაც უფრო შორდებოდა მშობლიურ კუთხეს, რაც უფრო ჩრდილოეთიდან დასავლეთისაკენ, შვეიცარიის მთებისკენ მიემგზავრებოდა, მით უფრო უძლიერდებოდა საქართველოს სიყვარული.

1912 წლის სექტემბრის დასაწყისში ქიაჩელი უკვე ქენევაშია. ეს ჩანს დავით სულიაშვილის წიგნიდან „უცხო ცის ქვეშ“. 1912 წლის სექტემბრის ერთ-ერთ დღიურში იგი მი-

უთითებს: „გუშინ მოსკოვიდან ლეო ჩამოვი-
ლა“.⁹ მაშინ იგი ოცდარვა წელს ითვლიდა და
არაფერი სახარბიელო ლიტერატურაში ჯერ კი-
დეც შექმნილი არ ჰქონდა. მოსკოვმა სათავე
დაუდო მის შემოქმედებით ბიოგრაფიას. გამო-
აჩინა უნარი, მხატვრული ნიჭი და ალლო.
„მწვერვალის“ დასაპყრობად ძირეული გარდა-
ტეხა აქ უნდა მომხდარიყო. და მოხდა კიდევ.
ქენევა იქცა ქიაჩელის პირველი დიდი გამარჯ-
ვების ასპარეზად. რამ განაპირობა წარმატება?
მაგრამ ჯერ დაეუბრუნდეთ მისი ცხოვრების ამ-
ბებს.

ადვილი წარმოსადგენია, რაოდენ სასიხარუ-
ლო უნდა ყოფილიყო ციხიდან გაქცევის შემ-
დეგ ლეო ქიაჩელის პირველი შეხვედრა დავით
სულიაშვილთან, იმ ადამიანთან, ვინც არ მოე-
რიდა პარტახტიან ტიფს და თავზე ადგა მია
სატუსაღოს საავადმყოფოში, ვინც დაშორდა
„იმ საიდუმლო გვირაბის“ თავთან, რომლი-
თაც თავისუფალ პაერზე გავიდნენ ზუთი წლის
წინათ. აი, როგორ აგვიწერს დ. სულიაშვილი
ქენევაში ახლად ჩასული ქიაჩელის პორტ-
რეტს, ამ პირველი შეხვედრისაგან მიღებულ
შთაბეჭდილებას. „გამოცვილია, წვერ-ულვაში
დაუყენებია, დამშვენიერებულა. ლაპარაკის დროს
რადაც სხვა კილოზე უხვევს. დიდხანს ვუმ-
ზერდით ერთმანეთს და ვიღიმებოდით. რამ-
დენი რამ გეჭონდა სალაპარაკო, მოსაგონებე-
ლი, გასაზიარებელი“. მაგრამ საუბრის მთავა-
რი საგანი მაინც ციხეში დათქმული პირობის,
ურთიერთ აღებული ვალდებულებების შესრუ-
ლების შემოწმება იყო.

„დაპირება შეასრულე? — როგორც კი
მარტო დავრჩით, მკითხა ლეომ, — გახსოვს,
ციხეში ერთმანეთს რომ აღუთქვით — მწერ-
ლობით გაგვეწია სამსახური სამშობლოსა-
თვის“.¹⁰ თუ როგორ ასრულებდა ამ პირობას
ქიაჩელი, ეს უკვე ცნობილია ჩვენთვის წინა
თავიდან. რაც შეეხება დავით სულიაშვილს, მან
თავისი პირველი მოთხრობა „გარდახვეწილის
ლტოლვა“ სწორედ იმ სადამოს წაუყითხა ქია-
ჩელს და მისი წაქეზებით, მოწონებით და შე-
სწორებით დაიბეჭდა კიდევ 1913 წელს გაზეთ
„თემში“. ასე გადაიზარდა მათ შორის ქუთაი-
სის ციხეში დაწყებული მეგობრობა ემიგრან-
ტობის დროს ურღვევ შემოქმედებით მეგობ-
რობაში.

„შვიცარიისთან მრავალი დიდი ადამიანია
დაკავშირებული ან თავისი წარმოშობით ან
თავისი შემოქმედებით. საკმაოა ვოლტერის,
რუსოს, პესტალოცის, გოეთეს, შილერის, ბა-
რონის, ბენჯამენ კონსტანის სახელები გავიხსენ-
ოთ... მისი მშვენიერება ალბიური ვარდებით და
თეთრ-ყვითელი ედელვაისებით შემოსილი ქე-
ნევა“, — წერს გერონტი ქიქოძე ერთ თავის
მოგონებაში.¹¹

ქენევა!

მუდამ ცოცხალი, მოუსვენარი, მოძრავი,
მოწყენილობის, დარდის და სევდის განმქარ-
ვებელი ქალაქი...

სილამაზის და სიმშვენიერის სიმბოლო...

ტბებით, გორაკებით, გაშლილი ბაღებით,
ქუჩებით და ბრწყინვალე შენობებით დამშვე-
ნებული...

ემიგრანტების თავშესაფარი...

ქენევა!

ცოდნის ტაძრით — უნივერსიტეტით სა-
ხელგანთქმული.

იგი დგას ქალაქის შუაგულში, მარად მწვე-
ნე მიწდგის — პლენპალეს ახლოს.

აქ, ამ უნივერსიტეტის სამკითხველო დარ-
ბაში, მის ბიბლიოთეკებში, ისე როგორც ყვე-
ლა ნაციონალურ ენაზე, ქართული წიგნების,
ქურნალ-გაზეთების და ისტორიულ-ლიტერატურ-
ული მასალების მდიდარი ფონდია.

აქ იყრიან თავს ქართველი ემიგრანტები:
მიხა ცხაკაია და მიხეილ დავითაშვილი, ნიკო
კვიციანი და მელიტონ ფილია, პავლე საყვარე-
ლიძე და თედო სახოკია...

აქ ჩამოდის ბერნიდან სამუშაოდ და ლექ-
ციების წასაკითხად ვლადიმერ ილიას ძე ლე-
ნინი. აქვე ცხოვრობენ პლენანოვი, მარტოვი,
ლენინარსკი, ვოროსკი, კარპინსკი.

და ლეო ქიაჩელის წინაშე ერთბაშად სრუ-
ლიად ახალი პორიზონტი, ახალი პერსპექტივა
გადაიშალა, გადახალისდა, შეიცვალა და გარ-
დაიქმნა მისი განწყობილება, გაუთრქვედა ენე-
რგია, სტიმული, პათოსი და ენთუზიაზმი.

ამის პირველი ნიშანი ქენევის უნივერსი-
ტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლის გა-
გრძელება იყო. ახლა მას, როგორც საზღვარ-
გარეთული პასპორტით აღქურვილს, თავი-
სუფლად შეეძლო ხარკოვის უნივერსიტეტიდან
გამოეთხოვა მისი პირადი საქმე. ეს უკვე მესა-
მედ სცადა ბედი უმაღლესი განათლების მისა-
ღებად. არ გასულა ამდროიდან დიდი ხანი და
„სახალხო გაზეთის“ 1912 წლის ერთ-ერთ
ბოლო ნომერში გამოქვეყნდა ქენევიდან გა-
მოგზავნილი ინფორმაცია, რომელიც იტყობინე-
ბოდა: „როგორც დანამდვილებით შევითქვით,
ჩვენი ახალგაზრდა ნიჭიერი მწერალი ლეო ქია-
ჩელი, რომელიც ამჟამად ქენევის უნივერსი-
ტეტში სწავლობს, ავად ყოფილა. იგი თურმე
ნივთიერადაც დიდ გაჭირვებას განიცდის“.¹²

გაზეთის ამ ცნობას ქიაჩელის ავადმყოფო-
ბის შესახებ ადასტურებს დავით სულიაშვილი
თავის მოგონებაში, სადაც იგი წერს: „უცნაუ-
რი ხასიათი აქვს ლეოს — ავადმყოფობის ეშა-
ნია, ამიტომ ექიმებისაგან თუ ნაცნობებისაგან
მიღებულ ყველა წამალს სვამს, ყლაპავს.

— ექიმმა მითხრა ტუბერკულოზის ნიშნე-
ბი გაქვსო, ახლაც უნდა მიაქციო ყურადღე-
ბა, იმკურნალო და გაგივლისო.

— თუ ეგრეა, მიიღე ზომები, რაა მაგისთვის საჭირო? — შევეკითხე.

— რაღა, სადმე სოფელში უნდა წავიდე. კარგად ვიკვებო, მთის პაერი ვისუნთქო.

— მერე? რაღას აყოვნებ? გინდა მეც წამოვალ.

— რა კარგი იქნება, ბიჭო! — პირი დააღო და თავისი პატარა, მწვანე თვალები შემომანათა.

მართლაც მალე წავედით ქენევის მახლობლად ერთ სოფელში.

მთელი დღეები მთაში ვართ. თან მიგვაქვს სპირტქურა და სადილსაც იქ ვამზადებთ: ნაძვების ჩრდილში ვართ წამოწოლილი. წიგნებს ვკითხულობთ, ვბასობთ და იქვე ვიძინებთ კიდევ. ლეო ძალიან ფრთხილია, სასტიკ რეჟიმს იცავს.¹³

ეს ამონაწერი ერთი ყოფითი დეტალია მწერლის იმდროინდელი ცხოვრებიდან. აქაც, ამ შორეულ და უცხო მხარეში, ლეოს მფარველად, მასზე მზრუნველად ისევ ძველი, ნაცადი და ერთგული მეგობარი დავით სულიაშვილი გვევლინება. ეს მან შემოგვიანახა ზოგიერთი ძუნწი ცნობა ემიგრანტობის პერიოდის ნაღვლიან და უსიხარულო დღეებზე. მაგრამ სანამ ამ ცნობებს აღვუხსნავდეთ, საჭიროა აქვე დავძინოთ, რომ „სახალხო გაზეთში“ გამოქვეყნებულ ზემოთ მოტანილ ინფორმაციას „ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლის“ ქენევის უნივერსიტეტში სწავლისა და მისი ავადმყოფობის შესახებ უკვე აღვადარ ჩაუვლია. იგი საფუძვლად დაედო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ ქიაჩელისათვის საგანგებო სტიპენდიის სახით ყოველთვიურდ ოცდახუთი მანეთის დანიშვნას, რაც მისი შემოქმედების დაფასების და სახელის გახმაურების პირველი გამოხატულება იყო.¹⁴

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ქენევაში ჩასვლის პირველსავე ხანებში, იმავე 1912 წელს, ქიაჩელი შეხვდა და პირადად გაეცნო ვ. ი. ლენინს,¹⁵ მოუსმინა მის ლექციას ეროვნულ პრობლემაზე ქენევის სახალხო სახლის დარბაზში, სადაც ემიგრანტებისათვის ხშირად იმართებოდა საღამოები, იკითხებოდა მოხსენებები, ეწყობოდა დისკუსიები და დისკუსიები ეკონომიურ, პოლიტიკურ, ფილოსოფიურ, ლიტერატურულ და ეთიკურ-ესთეტიკურ საკითხებზე. ერთი სიტყვით, პარტიათა შორის იყო იდეური ბრძოლა, შეხლა-შემოხლა, მაგრამ სწორედ ამ ბრძოლაში ჩანდა იმედის სხივი და ნაპერწკალი, გამარჯვების შუქი და ელვარება, რწმენა და ოპტიმიზმი. ყველაფერი ეს ჩამქრალი და ჩაფერფლილი იყო რეაქციის შემდეგ რუსეთში. აქ კი მთელი ძალით იგრძნობოდა.

არ შეიძლებოდა ამგვარ მოვლენებს, ამ მაგალითებს დადებითად არ ემოქმედა ქიაჩელის ცხოვრებაზე, საქმიანობაზე, არ მოეხდინა რა-

ლიკალური გარდატეხა მის ლიტერატურულ ინტერესებში, არ განესაზღვრა მისი შემოქმედებითი განვითარების ახალი, მნიშვნელოვანი ეტაპი.

მაგრამ ემიგრანტობა, ყოველივე ამასთან ერთად, მუდმივ გაჭირვებასთან, სამშობლოზე ფიქრთან და ათასგვარ დამამცირებელ შემთხვევებთანაც იყო დაკავშირებული. ემიგრანტთა ურთიერთდამხმარე სალარო მხოლოდ მინიმალურად აკმაყოფილებდა მის წვერთა საჭიროებას. ხელმოკლეობა ყველას ეტყობოდა. ზოგჯერ პურის ფულსაც ვერ შოულობდნენ. საქმე ეხებოდა არა ერთ დღეს და ერთ თვეს, არამედ წელსა და წელიწადებს.

და, აი, ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ერთხელ დავით სულიაშვილმა „მაწვნის მეურნეობა“ მოაწყო. ყიდულობდა რძეს, თვითონ ამზადებდა მაწონს, ქილებში ასხამდა, ხოლო დილით ქიაჩელს თავი უნდა მოეკრა მათთვის, კალათებში ჩაეწყო და მიცემული მისამართების მიხედვით კერძო ბინებში გაეყიდა. „მოგება“ შუაზე უნდა გაეყოთ. საქმე კარგად აეწყო. მაგრამ ერთ დღეს „ექსპლოატირებული“ ლეო თავის „კაპიტალისტ“ მეგობართან წარბეზმეკრული, გაწიწმეტებული და გაციცხლებული მოვარდა. მაწვნის ქილები სულ დამეტვრია გზაზე. რა მოხდა?

უნივერსიტეტში თურმე ერთი პოლონელი ქალიშვილი გაიცნო, სახელად ტანია, დაუახლოვდა, გაეარშიყა, თავი მოაწონა. ქართველი აზნაურის შთამომავალი პოლონელი პანის მემკვიდრეს მდიდარ სტუდენტად ჰყავდა წარმოდგენილი და უცებ, დილაადრიან, ირგვება მისი ბინის ხარი. ნათდება დერეფანი. იღება კარი. წინ გაშვერილი ხელით მაწვნიან ქილას აწვდის...

— ო, ეს თქვენ ბრძანდებით, ბატონო, აზნაურო! — ეუბნება ტანია გაოცებული თვალებით და ის იყო მიწოდებული ქილა უნდა ჩამოერთმია, რომ ერთ წამში გაწვდილი ხელი მოკვებითივით დაბლა დაეშვა, ქილა იატაკზე დაეგარცხა, მაწონი დაიღვარა. „არაფერია, არაფერია“, დარცხვენით გაიძახოდა ტანია, მაგრამ ვის ეცალა მის მოსასმენად. გაფითრებული და დარეტანებული „მემაწვნე“ ქუდმოგლეჯით ჩაბოდა კიბეებზე. რაღა მაინცა და მაინც იმ ქალიშვილის ბინას მიადგა! რაღა მისი მისამართი მისცა „პატრონმა“! განა ეს სასაცილო არ არის? როგორ შეხვდეს, რა უთხრას, რით იმართლოს თავი?...

მაგრამ „თავის მართლებისათვის“ დრო არ რჩება, გაცხარებულ მუშაობაში სწრაფად გადადის. 1912 წელს იგი წერს პირველ საბავშვო მოთხრობას „ძალი და კატა“. 1913 წელს ამას მოჰყვა მოთხრობები და ნოველები: „ზღაპარი ბედნიერებაზე“, „იმედები“, „ორი სტრიქონის ამბავი“, „პატარა ისტორია“ და პირველი ლი-

ტერატურული წერილი „ინდოეთის დიდი პოეტი და მწერალი რაბინდრანათ თაგორი“. ეს თითქმის უტოლდებოდა მოსკოვში ოთხი წლის მუშაობის ნაყოფს.

ლეო ქიაჩელი გულისხმიერად მოეკიდა კრიტიკის სამართლიან შენიშვნას და უმაღლესი განათლების მიღებისათვის მუშაობასთან ერთად მტკიცედ ჩაუჭდა ქართულ წიგნებს, რომლებიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკმაოდ მოაპოვებოდა მაშინ ქენევის უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზებსა და აგრეთვე ქართველი ემიგრანტების მიერ აქ დაარსებულ საამხანაგო ბიბლიოთეკაში. თვით ქართული გარემოც და ატმოსფეროც ხელს უწყობდა ამისათვის. ამიტომ არ შეეცდებოდა, თუ ვიტყვი, რომ აქ, ქენევაში, შეისწავლა მან მთელი თავისი სიღრმით ჩვენი მდიდარი ძველი და ახალი ქართული კლასიკური ლიტერატურა, ჩვენი ხალხის გმირული წარსული, მრავალფეროვანი ზეპირსიტყვიერება და მასში ჩაქსოვილი დაუშრეტელი სიბრძნე.

მე-19 საუკუნის ქართველი კლასიკოსების, კერძოდ კრიტიკული რეალიზმის დიდი ოსტატების — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალ. ყაზბეგის, ვგანტე ნინოშვილის, დავით კლდიაშვილის და სხვათა შემოქმედების საფუძვლიანად შესწავლამ დიდად გააფართოვა ქიაჩელის მხატვრული აზროვნების დიაპაზონი, მჭიდროდ დაუახლოვა ის რეალისტურ სტილს და ამით ბიძგი მისცა მის შემოქმედებით განვითარებას. მწერლის მტკიცე და შეუბოგარი, დაძაბული და დაუღალავი შემოქმედებითი შრომის შედეგი მთელი თავისი სისხვით გამოვლინდა „ტარიელ გოლუაში“, რომლის დაბადების გეოგრაფიულ ადგილად ქენევა ითვლება. ამ მხრივ ეს ქალაქი ახლოებული და საინტერესოა ჩვენთვისაც.

დაბრუნება სამშობლოში

ჩვენს სამეცნიერო-კრიტიკულ ლიტერატურაში დამკვიდრებული აზრის მიხედვით ქიაჩელი ემიგრაციიდან სამშობლოში დაბრუნდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ. ამ აზრის გავრცელების პირველი წყარო არის მწერლის მიერ შედგენილი ბიოგრაფიული ცნობარი, რომელშიაც ნათქვამია: „1917 წლის რევოლუციამ ქიაჩელს ემიგრანტობისა და არალეგალიზმის ბორკილები აპყარა და სამშობლოში თავისუფალი ცხოვრების საშუალება მისცა“. კრიტიკოსთა უმეტესობამ მწერლისეული ეს მეტაფორული გამოთქმა გაიგო როგორც დაბრუნების თარიღი და ეს სადავო საკითხი სრულიად მარტივად გადაწყდა. ამ გზით მან რუსულ ენაზე გამოცემულ „მოკლე ლიტერატურულ ენციკლოპედიაში“ თავისი გამოხატულება ჰპოვა. და, მასთანადავ, დაკანონდა კიდევ. მოკლე ლიტერატურული ენციკლოპედიის მესამე ტომში,

სადაც ქიაჩელზეა ლაპარაკი, ვკითხულობთ: „1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში“ (გვ. 507).

მაგრამ ეს თარიღი არ არის სწორი. ქიაჩელის ზემოთმოტანილ ჩანაწერში სწორად არის მითითებული იმ ფაქტზე, რომ „1917 წლის თებერვლის რევოლუციამ“ მას „ემიგრანტობისა და არალეგალიზმის ბორკილები აპყარა“, რომ „სამშობლოში თავისუფალი ცხოვრების საშუალება“ მისცა. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, თითქოს მწერალი თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში. გვიდებით დავსაბუთოთ ეს მოსაზრება და დავუზუსტოთ სადავო თარიღი.

ქენევაში ყოფნის მთელ პერიოდში — 1912 წლის სექტემბრიდან 1916 წლის აპრილამდე — ე. ი. სამ წელიწადსა და შეიდი თავის განმავლობაში ლეო ქიაჩელის შემოქმედებითი პროდუქცია განისაზღვრება ათზე მეტი ნაწარმოებით. ამაში შედის ზემოთ დასახელებული ნაწარმოებების გარდა სამი საბავშვო მოთხრობა („არსენას სიხარული“, „ფაცურა და გიშერა“, და „მეგობრები“), რომლებიც ქართულ საბავშვო ჟურნალებში დაიბეჭდა. ნინო ნაკაშიძე თავის მოგონებებში ერთგან ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ლეო ქიაჩელმა 1912 წელს პირველი საბავშვო მოთხრობა შევიცარიიდან გამოგვიგზავნა. მას შემდეგ სისტემატურად გვიგზავნიდა მოთხრობებს და ზღაპრებს“.16 მაგრამ მთელს ამ ნაწარმოებთა შორის მეოცე საუკუნის ახალი ქართული პროზის ფუძემდებელი რომანი „ტარიელ გოლუა“ სულ სხვა ნიშანსვეტად იქცა მწერლის პირად ცხოვრებაში.

თუ ის აქამდე მისი სულის არეში იყო მოქცეული, მის „მკერდ ქვეშ“ ბუდობდა, ახლა, ე. ი. მას შემდეგ, რაც ქართველ ემიგრანტთა საბოლოო მოწონებით 1916 წლის დასაწყისში (იანვრის შუა რიცხვებში) ავტორმა საქართველოში გამოგზავნა, მწერალს მოუსვენრობა დაეტყო. მართალია, მას უქმად და უნაყოფოდ ხეტიალში არ გაუტარებია ემიგრანტობა, მაგრამ შინაგანად მაინც გრძნობდა, რომ „ტარიელ გოლუაზე“ ადრე დაწერილი ნაწარმოებები მხოლოდ მოსამზადებელი ეტაპი იყო. ფარულ იმედს იგი თბილისში ფოსტით გამოგზავნილ ხელნაწერზე ამყარებდა. ომიანობის ძნელი პირობების გამო კი თბილისიდან რაიმე პასუხი არ ჩანდა. ლოდინის ყოველი დღე მძიმე და მტანჯველ ლოდინად ექცა.

ჯერ კიდევ „ტარიელ გოლუაზე“ მუშაობის პროცესში აღეძრა ქიაჩელს სამშობლოში რაც შეიძლება ჩქარა დაბრუნების ფიქრი. მიხა ცხაკაიას ხშირად მიმართავდნენ ქართველი ემიგრანტები კითხვებით: „როდის დავბრუნდებით, მიხა, საქართველოში? შენ გეცოდინება, გვითხარი“.

„— მალე, მალე! ეს ომი მოუღებს ბოლოს. ნი-

კოლონის ჯალათობას. ჯერ კი ამ მდგომარეობას უნდა გაეუძლოთ. — დაბეჭდებით უბასუხებდა მისა. მაგრამ ლეო ქიაჩელმა აღრევე გადაწყვიტა წამოსულიყო საქართველოსაკენ. ერთ დღეს დავით სულიაშვილს პირდაპირ გაუმხილა კიდევ თავისი გულისწინადადები.

— მე დიდხანს აღარ დავრჩები აქ. — ეუბნება იგი 1914 წლის ოქტომბერში დავითს, — წავალ თბილისში. იქ არავინ მიცნობს და არალეგალურად ვიცხოვრებ.

— რას ამბობ, ლეო, რომ დავატუსალონ, მერე? — შეშფოთებით უპასუხებს დავითი.

— თუკი მოსკოვში ვიცხოვრებ არალეგალურად ოთხი წელიწადი, რატომ თბილისში ვერ გავძლებ? როდემდის უნდა ვუცადო რევოლუციას? 17

და, მართლაც, ქიაჩელს არ დაუცდია რევოლუციისათვის. ეტყობა „ტარიელ გოლუაზე“ მუშაობამ ცოტათი დააყოვნა მისი აღრე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება. მაგრამ როგორც კი დამთავრა იგი, მერე შეუპოვრად იბრძოდა თავისი სურვილის ხორცშესხმისათვის. არც იმას უწევდა ანგარიშს, შენევის უნივერსიტეტსაც უდიპლომოდ რომ უნდა განშორებოდა, რომ მესამედ (ახლა უკვე თავისი ნებთით) უნდა მიეტოვებინა უმაღლესა განათლების კერა, რომ ინკოგნიტოდ მგზავრობა სარისკო და სახიფათო იყო. ერთადერთი თავსატეხი საქმე თანამგზავრის პოვნა იყო. და ეს „პრობლემა“ სრულიად მოულოდნელად მის სასარგებლოდ გადაწყდა.

ამ დროისათვის (ე. ი. 1916 წლის დასაწყისისათვის) არაერთი თხოვნის შედეგად რუსეთის მეფის მთავრობისაგან თედო სახოკიას უკვე მიღებული ჰქონდა სამშობლოში დაბრუნების ნებართვა. 1905 წლის ოქტომბერ-დეკემბერში იგი ხელმძღვანელობდა გემ „სიურისით“ საქართველოში მის მიერ ჩატანილი იარაღის ანაქლისა და ფოთის ნავსადგურებში გადმოტვირთვის ოპერაციებს. სწორედ ამ ხანებში გაეცნო ლეო შენგელაიას, როგორც ზუგდიდის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ერთ-ერთ მთავარ ხელმძღვანელს. მაგრამ 1906 წელს სოხუმში დაპატიმრების, ციმბირში გადასახლების და გადასახლებიდან გამოქცევის შემდეგ ევროპაში ყოფნის მთელ პერიოდში არსად შეხვედრია მას. გერონტი ქიქოძის მოგონების ერთი ადგილის მიხედვით ჩვენთვის ცნობილი ხდება, რომ თედო სახოკია 1911-1914 წლებში „ბრიუსელში ფიზიკურად მუშაობდა რომელიღაც ფაბრიკასა თუ ქარხანაში და სამშობლოს სევდით იყო დაავადებული“. 18 ამ სევდას ცოლ-შვილის სიყვარულის გრძნობაც აძლიერებდა.

და აი, თედო სახოკია თანამგზავრის საძებნელად 1916 წლის მარტის მიწურულს ქენეჯვაში ჩავიდა. ქიაჩელის სწრაფვას და ინტერესს ამით ფრთები შეესხა. რუსეთის ქენევის საკონ-

10. „მნათობი“, № 11.

სულომ შეუმოწმა მას რაჟდენ კოსტას ძე შენგელაიას სახელზე შედგენილ პასპორტში ჩაწებებული საკუთარი სურათი და ნება დართო გამოგზავრებულყო საქართველოში არა როგორც ემიგრანტი, არამედ ვითომდა როგორც უცხოეთში სასწავლებლად ჩამოსული თავისუფალი მოქალაქე. მაგრამ ქიაჩელმა კარგად იცოდა, რას ნიშნავდა ეს „თავისუფალი მოქალაქეობა“.

ასე დაიწყო ორი ქართველი რევოლუციონერი ემიგრანტის ნადრევი მოგზაურობა ევროპიდან სამშობლოში ჯერ კიდევ 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე, 1916 წლის აპრილის შუა რიცხვებში. ამ წლის ერთ-ერთ დღიურში დავით სულიაშვილი წერს: „რამდენიმე დღეა, რაც ლეო წავიდა. მისი „ტარიელ გოლუა“ ფელეტონებად იბეჭდება. გაიმარჯვა ლეომ, მაგრამ საქართველოში დაბრუნებით საშიშ მდგომარეობაში ჩაივლო თავი“. 19

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა თვით მოგზაურობის ზოგიერთი ეპიზოდის გაცნობა. გართულებული საერთაშორისო მდგომარეობის გამო მეგობრები იძულებული იყვნენ ემგზავრათ მარშრუტით: საფრანგეთი, ინგლისი, ნორვეგია, შვეიცარია, ფინეთი, რუსეთი, საქართველო. პოლონეთზე გავლით ბერლინიდან მატარებლით გზის გადაჭრა შეუძლებელი იყო. სახელმწიფოდან სახელმწიფოზე გადასვლისას ყოველ დიდ ქალაქში საჭირო დოკუმენტების გაფორმებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდებოდა. მაგალითად, პარიზში ოც დღეს დაყოვნდნენ, ლონდონში — ათს. თედო მეტწილად ქალაქების დათვალიერებას ანდომებდა დროს, ლეო კი — სასტუმროში ფიქრებს და შემოქმედებით შრომას. გზაშია დაწერილი 1916 წლით დათარიღებული მოთხრობა „მუხა და ტირიფი“. მასში აღგორიულად გამქლავებულია ის მძლავრი სულიერი ლტოლვა, რაც ქიაჩელს „ტარიელ გოლუას“ ვარდა თბილისისაკენ აღტყინებით, აღტაცებით და აღმაფრენით მიაქროლებდა. მაგრამ ჯერ ისევ გავყვეთ მგზავრობის მარშრუტს.

ლონდონიდან ქიაჩელმა თედოსთან ერთად, გადასურა დიდი ბრიტანეთის კუნძული სამხრეთ-ჩრდილოეთის მიმართულებით და შოტლანდიაში ზღვისნაპირას მდებარე სანავსადგურო ქალაქ ნიუკასტლში ჩავიდა. აქედან ის ნორვეგიისაკენ გაჰყვა სავაჭრო გემს, რომელსაც მგზავრები მხოლოდ იმ პირობით მიჰყავდათ თუ უბედურ შემთხვევაში მათ ჭირისუფლებს არავითარი პრეტენზია არ ექნებოდათ გემის მეპატრონისადმი. მისის ავღრიან და ბურუსიან ღამეში აბობოქრებული ზღვა ნაუტოვით აქანავებდა პატარა გემს. თედო და ლეო მის ქვედა ნაწილის კაიუტაში მოთავსდნენ. ფეხზე დგომა არ შეეძლოთ. მალე ორთავეს ზღვის ავადმყოფობა დაემართა. ტახტებზე მისჯარეს და პირთან ტაშტები მიუტანეს. ამ გო-

19. „მნათობი“.

ქორეუბანს დაემატა მგზავრებს შორის ლამით ატეხილი პანიკა, რაც შუა ზღვაში გემის მოულოდნელმა გაჩერებამ გამოიწვია. ამ დროს ხმა გაეკრძა: გემი გერმანელების წყალქვეშა ნავმა დააკავა და აფეთქებას აპირებსო.

„ვაიმე, ჩემო სამშობლო, ჩემო ცოლო და შვილო! — აღმოხდა თედოს. მე კი უდიდესი განსაცდელის წინაშე ხმის ამოდება ვერ შევძელი, მაგრამ თავში უეცრად უცნაური აზრი აღმედგრა, რომელიც იმ წამში, აუცილებელი დაუღუპის წინ, უნდა დამზადებოდა: „ვაიმე, ჩემო... — მინდოდა მეყვირა მეც, თუმცა ეს „ჩემო“ არც სამშობლო იყო და არც ცოლ-შვილი.

საქმე ის არის, რომ დაახლოებით თვენახევრით ადრე, ვინემ ქენევიდან პარიზისაკენ გზას გავუდგებოდით სამშობლოში დასაბრუნებლად, ჩემი უკანასკნელი ნაწარმოების ხელნაწერი ფოსტით გამოვგზავნე თბილისში, ერთ-ერთი ქართული გაზეთის რედაქციის მისამართზე, რადგანაც მისი ტარება სახელმწიფოდან სახელმწიფოში იმ დროს მეტად სახიფათო იყო. ასლი ყოველი შემთხვევისათვის ერთ ქენეველ მეგობარს ჩავაბარე (იგულისხმება დავით სულიაშვილი — ა. თ.). იმ ხელნაწერს იგივე გზა უნდა გაეგლო, რომლითაც თედო და მე მივდიოდით. თუ ჩვენ ვიღუპებით, იმას რა ვადაარჩენდა-მეთქი. აი, ის აზრი, რომელმაც თავში დამკრა, როგორც კი გავიგონე, გერმანელები გემის აფეთქებას აპირებენო“²⁰ — გადმოგვეცემს თედოს სახოკიასადმი მიძღვნილ წერილში ლეო ქიაჩელი.

მაგრამ მწერალს ბედმა აქაც გაუღიმა. „ბეწვის ხიდი“ აქაც უფნებლად გაიარა. ნეიტრალური ქვეყნის — ნორვეგიის სავაჭრო გემი დაიძრა. გერმანელ პირატებს ინგლისელების გემი რომ ჩავარდნოდით ხელში, მას ვერაფერი იხსნიდა დაუღუპისაგან. ასე ალაღბებდა დაუღუპისა დაკარგვას „ტარიელ გოლუას“, რომელთანაც პირველი შეხვედრა ავტორს მოუხდა ნორვეგიის სანაგესადგურო ქალაქ ბერგენში, რაღაც სასწაულებრივ ვითარებაში. აქ იმ დროს ინგლისის ელჩი იყო „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი მთარგმნელის მარჯორი უორდრობის ძმა ოლივერ უორდრობი, რომელსაც პატივისცემის ნიშნად საქართველოდან უგზავნიდნენ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს. მასთან ვიზიტად მისულ თედო სახოკიას მან თან გამოატანა მთელი დასტა ამ ჟურნალ-გაზეთებისა. ქიაჩელი ამ დროს სასტუმროში ისვენებდა.

„ათასწილრი დამთხვევა ხდება ცხოვრებაში, — იგონებდა იგი შემდეგ, — მაგრამ ამისთანა თუ შესაძლებელი იყო, ვერ წარმოედგინა კინალამ გავგიჟდი... სიზმარი მეგონა. ხელში მეჭირა ფართოდ გაშლილი გაზეთი და თვალს ვერ ვაშორებდი მისი მაღალი ფელეტონ-

ნის მომსოდ დაბეჭდილ სათაურს — „ტარიელ გოლუა“. ნათელი იყო, რომ სიზმარში კი არა, ცხადში ვიყავი. საკვირველი იყო ის, რომ ამელო სწორედ ის გაზეთი, რომელშიც ჩემი რომანის პირველი თავი იყო დაბეჭდილი რედაქციის მიერ ნაწარმოებისადმი მიძღვნილი მცირე შენიშვნით, რომელიც მის დიდ ქებას შეიცავდა“²¹.

„ტარიელ გოლუას“ ბეჭდვა გაზეთ „სახალხო ფურცელში“ დაიწყო 1916 წლის 17 მარტს და დამთავრდა 26 მაისს. მაშასადამე, ეს ფაქტი თავისთავად მოწმობს, რომ ლეო ქიაჩელის დაბრუნება მოხდა სწორედ ამ წელს, არა უგვიანეს ამ წლის ზაფხულის დასაწყისისა. ამ ვარაუდს ადასტურებს ლევან ასათიანის ერთი ჩანაწერი, რომელიც გაუქვებია მას ლეო ქიაჩელის ნაამბობის მიხედვით. „ემიგრაციიდან რომ დავბრუნდი, — უყვება იგი ასათიანს, — მივედი „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში. გაზეთს იმ ხანებში ახალ ჩამოთავებული ჰქონდა (ხაზგასმა ჩემია — ა. თ.) ჩემი „ტარიელ გოლუას“ ბეჭდვა“²² სწორედ ამ დროს გაიცნო მან პირველად იოსებ გრიშაშვილი, იოსებ გედევანიშვილი, ილია აგლაძე და სამსონ ფირცხალავა. „მომიადერეს, შემაქეს, მომიწონეს „ტარიელ გოლუა“. სამსონმა გადმომცა „ტარიელ გოლუას“ ჰონორარი 350 მანეთი. ეს იყო ჩემი პირველი ჰონორარი ლიტერატურული შრომისათვის“²³ — აღნიშნავდა ქიაჩელი.

ამრიგად, 1916 წლის ივნისიდან, რვა წლინახა და რვა თვის ვანშორების შემდეგ, ქიაჩელმა პირველად დაადგა ფეხი საქართველოს მიწას, ხოლო თბილისი კი მისთვის მანამდე სრულიად უცნობი და ჭერ უნახავი ქალაქი იყო.

მთავარი არგუმენტი, რითაც მტკიცდება ემიგრაციიდან ქიაჩელის დაბრუნება 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე შეიძლება თვით ადრე, ეს არის მისი დაოჯახება 1916 წლის ოქტომბერში. ქეთევან ფარეიშვილ-ქლდენტის ოჯახში ინახება ამ წელს მეუღლესთან და მის ახლო ნათესავებთან ქიაჩელის მიერ გადაღებული სურათი. ამ დროს ქიაჩელი ოცდათორმეტი წლისა იყო. „ტარიელ გოლუას“ გაზეთში დაბეჭდვა, ემიგრაციიდან დაბრუნება, პირველი ჰონორარის მიღება და დაოჯახება ერთდა იმავე წელს მოხდა.

და ეს მოხდა ცამეტი წლის ლოდინის, ცამეტი წლის ურთიერთ თანაგრძნობის, ურთიერთდობის, ურთიერთ გაგების, ურთიერთ პატივისცემისა და, ბოლოს, ურთიერთ დიდი სიყვარულის შედეგად.

1903 წლიდან, ქუთათის გიმნაზიის მეშვიდე კლასში სწავლის დროიდან, უყვარდა ქიაჩელს თავისი მომავალი მეუღლე.

სიჭაბუკის მგზნებარების წლებში სწორედ ეს ქალი შთააგონებდა ებრაძონა დიდი სახალხო საქმისათვის; ციხეში ყოფნისას იმედით ათბობდა, ამხნეებდა და მის ჭირ-ვარამს იზიარებდა; მოსკოვში ყოფნისას შორიდან ლიტერატურული შემოქმედების ძალას და იმპულსს აძლევდა; ენევეაში რწმენას და იდეალებს უდევებდა, სამშობლოსკენ ეძახოდა. იგი იყო მისი ოცნების განუყოფელი თანამგზავრი ყველგან და ყოველთვის.

ეს იყო იმ ხანებში ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის მოსწავლე ვერა მოსეს ასული კაკაბაძე. ადრეული მათი გაცნობა შემდგომში ჯანსაღი, სამაგალითო, იდეალური მეგობრობის საფუძველი გახდა. იშვიათად წარმართულა ქიაჩელის მსგავსი ბიოგრაფიის აღამიანთა ბენდი ასე ბედნიერად! მათ არ გატეხეს მოწაფეობის დროს ურთიერთ მიცემული ფიცი, პირობა და სიტყვა. არ უღალატეს გულის პირველ თრთოლვას.

ვერა კაკაბაძე დაიბადა 1886 წელს, სოფელ კუხში (ხონი), წვრილი ვაჭრის ოჯახში. მამამისი მალე საცხოვრებლად გადავიდა ქუთაისში. მრავალშვილიანი ოჯახის რჩენა მძიმე ტვირთად აწვა მას, მაგრამ თავის დროისათვის საკმაო განათლება ყველას მიაღებინა. ვერამ წმინდა ნინოს სასწავლებელი დაამთავრა 1906 წელს. ამ დროს ქიაჩელი სამეგრელოს მთიან სოფლებში იმალებოდა. ამ ხანებში მათ უკვე მიწერ-მოწერა ჰქონდათ ერთმანეთთან. 1905 წლის ზაფხულამდე, ბათუმსა და ფოთში პროპაგანდისტად მუშაობის პერიოდში, ქიაჩელი ხშირად ნახულობდა ვერას, როცა იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის არალეგალურ ბინაში ჩამოდიოდა მორიგი დავალების მისაღებად. ძნელი იყო მათი განშორების წუთები. ვერა ყოველთვის თანაუგრძნობდა ახალგაზრდა რევოლუციონერის მისწრაფებებს, შინაგანად ყოველთვის მის იდეებს იზიარებდა.

როცა ქიაჩელი ქუთაისის ციხის პატიმარი გახდა, ვერა კაკაბაძეს ამ დროს ერთი წუთითაც არ დაუტოვებია ის ყურადღებისა და თანაგრძნობის გარეშე. ის არ აყვა ზოგიერთი თავისი ქარაფმუტა ამხანაგის რჩევას და არ წავიდა სასწავლებლად მანამ, სანამ არ გადაწყდა ქიაჩელის ბედი. მთელი ერთი წლის განმავლობაში იგი ისევე განიცდიდა თავისი მომავალი ქმრის მდგომარეობას, როგორც ყველაზე ახლობელი განიცდის ხოლმე ახლობლის ვარაშს. ერთხელ ციხის კარებთან ის ქიაჩელს დედას შეხვდა. ნახვის დღე იყო და საშვი წინასწარ ჰქონდა აღებული. მაგრამ როგორც კი გაიგო, ზუგდიდიდან ჩამოსულ დედას დაბრკოლებებს უქმნიან შვილის სანახავადო, თავისი საშვი ვადასცა ქალს, რომელიც არასოდეს ენახა, მაგრამ გუმანიტ ხვდებოდა, რომ ის ლეოს დედა იყო.

1907 წელს ვერა კაკაბაძემ სწავლა განაგრძო პეტერბურგის ქალთა სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1914 წელს. ამ წლიდან ის ბრუნდება თბილისში, სადაც სახელი გაითქვა როგორც თავადადარგის (ბაქტერიოლოგ-ეპიდემიოლოგი) ენერგიულმა და მცოდნე სპეციალისტმა.

ციხიდან გაქცევის შემდეგ ქიაჩელის მიერ მოსკოვის არჩევანს, გიმნაზიელი მეგობრებთან ერთად, პეტერბურგში სასწავლებლად ვერას წასვლა განაპირობებდა. მართალია, პირად საუბარში იგი მუდამ მოკრძალებით ვერდს უვლიდა საკუთარი გრძნობის პირდაპირ გამჟღავნებას, მაგრამ გულის სიღრმეში ყოველთვის სათუთად ინახავდა ვერასადმი ტრფიალს და მისი ნახვა ყოველთვის სანატრული და სანუკვარი იყო. ამიტომ მოსკოვიდან ხშირად ის მთელი თვეობით გადადიოდა საცხოვრებლად პეტერბურგში, მჭიდრო კონტაქტი და ახლო ურთიერთობა ჰქონდა ვერასთან და, როცა 1912 წელს ემიგრაციაში წასვლა გარდუვალი გახდა, უკანასკნელად ინახულა კოდეცი, გამოემშვიდობა და, როგორც ჩანს, მამინ ჩაიდო გულში თავისი ბედის საბოლოო დაკავშირება მასთან.

ამიტომ, ამო იყო დავით სულიაშვილის რჩევა. არავის და არაფერს შეეძლო მისი გაჩერება ენევეაში. სიჭაბუკის წლებიდან გულში ჩამარხული სიყვარული მას თბილისისაკენ ეძახოდა. აქეთკენ ეძახდა „ტარიელ გოლუას“ ფოსტით გამოგზავნილი ხელნაწერი, მაუწყებელი მისი მომავალი ლიტერატურული გამარჯვებისა. ლეო ქიაჩელმა წინასწარ იცოდა რა საიმედო „თავშესაფარი“ შეიძლებოდა გაეჩინა აქ ვერას ახლობლების წყალობით, მაგრამ ამავ დროს წინასწარვე ჰგრეტდა საშიშროებას და სასჯელის უღმობელოებას. იგი ხომ იმ ქალაქში მიდიოდა, სადაც მოქმედმა სასამართლო პალატამ „სახელმწიფო დამნაშაველ“ გამოაცხადა 1908 წელს და ამ დროიდან დაწყებული ძიება ჯერ კიდევ შეწყვეტილი არ იყო. განა აქ, თბილისში, ვაზეთ „შრომის“ რედაქციაში 1910 წელს არ მიაგნეს მელიტონ გობეჩიას „ადგილსამყოფელს“? განა თბილისი არ იქცა კატორღაში მისი დაღუპვის მიზეზად? ხომ შეიძლებოდა განმეორებულიყო ეს ტრაგედია?

აი ეს, მლეღარე განცდები, გრძნობები და ფიქრები გამოხატა ენევიდან წამოსვლის შემდეგ, 1916 წელს დაწერილ თავის ზემოთ დასახელებულ მოთხრობაში ქიაჩელმა. „მუხა და ტირიფი“ მოფიქრებულია პარიზში, ხოლო ლიტერატურულად საბოლოოდ ხორცშესხმული ლონდონში. ჩვენს კრიტიკაში ეს ნაწარმოები სიმბოლისტურ-დეკადენტური განწყობილებების გამომხატველად არის მიჩნეული. ამავ აზრს ვიცავდით და ვემხრობოდით პირადად

ჩვენც ქიაჩელისადმი მიძღვნილ ჩვენს ადრინ-
დელ წერილებსა და წიგნებში. მაგრამ, რო-
გორც ირკვევა, ეს არ იყო სწორი.

მუხასა და ტირიფის ალევორიაში, მათს ან-
ტროპომორფიზაციაში, სიყვარულის ადამიან-
ური განცდების გამოსახვასა და გრივალმეხ-
საგან მუხის განადგურების საზარელ ხილვებ-
ში იმ შეყვარებული კაცის, სამშობლოდან
ლტოლვილი ადამიანის მაღალი სულიერი
სწრაფვაა გამოხატული, რომელიც შინისაყენ
მიისწრაფვის, იქ მიდის, სადაც მას სატრფო
ეგულება, მაგრამ იმასაც ითვალისწინებს, რომ
აქ განსაცდელი, კვლავ დაბატიმრება და გადა-
სახლება მოელის. ამაზე მიგვანიშნებს მუხაზე
მეხის დაცემის ამბავი. „აჰა, აღსრულდა სა-
ტრფო: დადგა წამი ჩვენი ქორწინებისა. მოვ-
დივარ!“ — ამბობს სიხარულისაგან თითქოს
ცაში აფრენილი მუხა. მაგრამ ამ დროს „ზნელს
წინ უსწრობდა სიკვდილის მიერ მოქნეული
ცელის აჩრდილი და მომაკვდავის უკანასკნელი
აღმოკვენსა“. ეს სავსებით ლოგიკური და რეა-
ლისტური ასოციაციაა. არ შეიძლებოდა ასეთი
წარმოდგენა, ასეთი ექვი და საშინელი წინათ-
გრძნობა არ გასჩენოდა საქართველოსაყენ მო-
მავალ ქიაჩელს.

რაც შეეხება მოთხრობას — „ზღაპარი ბედ-
ნიერებაზე“, რომელიც დაწერილია ენევეაში
ჯერ კიდევ „ტარიელ გოლუაზე“ მუშაობის და-
წყებამდე, მასში მწერლის მიერ უფრო ადრე
იგივე ლტოლვა, სულისკვეთება და წინათ-
გრძნობაა გამოხატული, რაც „მუხა და ტირიფ-
ში“. იგი ასევე ლოგიკურად და ბუნებრივად
გამოსახავს პიროვნულ განცდას იმ ადამიანი-
სას, რომელსაც ბედნიერებასთან ერთად უბე-
დურებაც ელოდა. მუხაგულ ზღვაში ხელთუქმ-
ნელი სასახლე დასცურავს, როგორც ხომალ-
დი. მასში ცხოვრობს ქალწული, რომელსაც
ბედნიერება ჰქვია. იგი თავისკენ იხმობს ჭაბუკ
უფლისწულს. „აჰა, ბედნიერება! მოვდივარ...
აჰა, საყვარელო, მალე შენთან გავჩნდები!..
აჰა, მოვედი!“ — შესძახა ჭაბუკმა დიად სა-
ნახაობას. მაგრამ ამ დროს „ცამდის ასული
ზღვაც მუა გაიბო. ქვესკნელს ჯურღმულეებმა
ხახა დაადეს. მოლიმარ სახეზე ბედნიერების
კოცნის კვალდაშთენილი ჭაბუკი პირს დაი-
თრის“. ვანა განვლილი ცამეტი წელი ზღვის
ტალღებით ასე არ ატრიალებდა წალმა-უკუღ-
მა ქიაჩელის ცხოვრების გემსაც?

ყველაფერი ეს, ის ეპიკები და წინათგრძნო-
ბებია, რომლებიც სატრფოსკენ ფარულად მო-
მავალ დიდი ხნის შეყვარებულ ადამიანს თა-

ვისთავად, ყოველგვარი სიმბოლისტური „რე-
ცეპტების“ გარეშე გაუჩნდებოდა ხოლმე, რო-
გორც ადამიანური შინაგანი დღევის, შინაგანი
შიშის და დიდი ტრფობის გამოხატულება.

ვერა კაკაბაძე და ლეო ქიაჩელი 1916 წლის
ზაფხულის დასაწყისში პირველად ერთმანეთს
ჩერქეზოვის (ახლანდელი საბჭოს) ქუჩაზე მდებ-
არე № 77 სახლში შეხვდნენ. აქ ცხოვრობდა
ვერას ძმა, ოფიცერი კონსტანტინე თავის მე-
უღლესთან და შვილთან ერთად. ეს ბინა ქია-
ჩელისათვის საიმედო საკონსპირაციო ადგილი
იყო. ქუჩაში წვერებმოშვებული დადიოდა,
რათა არავის ეცნო და არ დაეზღუდებინა უან-
დარმერიაში. რედაქციების შემოვლის, ენევე-
ში ამხანაგებთან წერილების გაგზავნის, ალექ-
სანდრე კანდელაკთან საუბრების შემდეგ ვე-
რამ ურჩია ლეოს ზაფხულის დღეები ბაკური-
ანში გაეტარებინა, გაცლოდა ქალაქს და იქ
ბუნების უმშვენიერეს ლანდშაფტებში დაე-
სვენა. ეს აუცილებელი იყო მისი ფიზიკური
და სულიერი მდგომარეობის გაჯანსაღებისა-
თვის. „ტარიელ გოლუას“ პირველი ჰონორა-
რიც ამის საშუალებას იძლეოდა. და, აი, სწო-
რედ ბაკურიანიდან დაბრუნების მერე, 1916
წლის ოქტომბერში, ქორწინების ოფიციალუ-
რი ცერემონიის გარეშე, შინაურთა ფარულ
წრეში მოხდა მათი შეუღლება. სახელმწიფო-
ებრივ დოკუმენტებში ნამდვილი ვინაობის გა-
მკლავება საშიში იყო.

ასე ჩუმად და უხმაუროდ დასრულდა „შო-
რით წვისა“ და „შორით ბნელის“ ხანგრძლი-
ვი, ლამაზი ისტორია.

ამიერიდან ვერა კაკაბაძე იქცა ქიაჩელის
ნამდვილ მეგობრად, მისი ოჯახის ბურჯად; ვე-
რა იყო არა მხოლოდ სამედიცინო დარგის შე-
სანიშნავი სპეციალისტი, არამედ შესანიშნავი
მეოჯახეც, სტუმართმოყვარე, მოალერსე და
მოსიყვარულე დედა. 1917 წლის თებერვლის
რევოლუციის შემდეგ, რომელმაც ქიაჩელს
მართლაც აპყარა „არალეგალობის ბორკილები“
და სამშობლოში „თავისუფალი ცხოვრების“
შესაძლებლობა მისცა, ფართოდ გაიშალა მწერ-
ლის ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მო-
ღვაწეობა. მთელ ამ საქმიანობაში ვერა კაკაბა-
ძე ქიაჩელის უადრესად ხელისშეწყობი და
დამხმარე იყო.

მაგრამ მათ ერთად მხოლოდ ჩვიდმეტი წე-
ლი იცხოვრეს. 1933 წლის 20 ივნისს, 47 წლის
ასაკში, განუკურნებელი სენისგან გარდაიცვალა
ვერა მოსეს ასული კაკაბაძე — ქიაჩელის მე-
უღლე და მეგობარი.

მითითებული წყაროები:

- 1 ლეო ქიანელი, თბულებანი, ტ. I, 1946, გვ. 5.
- 2 იქვე, გვ. 11-12.
- 3 იქვე, გვ. 10.
- 4 ლეო ქიანელი, დავითის მადლობზე, „სახალხო გაზეთის“ სურათებიანი დამატება, 1911, № 42.
- 5 „სახალხო გაზეთი“, 1911, № 298.
- 6 მწერლისეულ ავტობიოგრაფიაში ამ ნაწარმების გამოქვეყნების თარიღად შეცდომით დასახელებულია 1911 წ. (იხ. თხზ., ტ. 5, 1961, გვ. 123).
- 7 „სამდედოშვილი“, გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1913, № 924.
- 8 „სახალხო გაზეთი“, 1914, № 10.
- 9 დავით სულიაშვილი, თხზ., ტ. I, 1973, გვ. 381.
- 10 დავით სულიაშვილი, თხზ., ტ. I, 1973, გვ. 381.
- 11 გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, 6456, გვ. 54.
- 12 „სახალხო გაზეთი“, 1912, № 465.
- 13 დ. სულიაშვილი, თხზ., ტ. I, 1973, გვ. 427-428.
- 14 ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ანგარიში, 1913, გვ. 111.
- 15 ლეო ქიანელი, შეხვედრა ილიჩთან, „ლიტერატურული საქართველო“, 1970, № 16.
- 16 ნინო ნაკაშიძე, ტ. III, მოგონებები, 1963, გვ. 229.
- 17 დავით სულიაშვილი, თბულებანი, ტ. I, 1973, გვ. 407.
- 18 საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი 6456, გვ. 59.
- 19 დავით სულიაშვილი, თბულებანი, ტ. I, 1973, გვ. 437.
- 20 ლეო ქიანელი, თბულებანი, ტ. IV, 1955, გვ. 383.
- 21 იქვე, გვ. 385.
- 22 ლევან ასათიანი, „უბის წიგნაკიდან“, „ცისკარი“, 1966, № 6, გვ. 109.
- 23 იქვე.



ვახტანგ მეექვსე

ვახტანგ VI ძველი ხაქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების თვალსაჩინო წარმომადგენელია. ის იყო გონიერი სახელმწიფო მოღვაწე და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი, ღრმად განსწავლული მწიგნობარი და მხატვრული სიტყვის ოსტატი, საყოველთაოდ ცნობილი მეცენატი და გულმხურვალე მამულიშვილი, რომელმაც მთელი ცხოვრება სამშობლოს კეთილდღეობის, მისი პატივისა და ღირსების, მისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას შესწირა.

ვახტანგ ლევანის ძე ბაგრატიონი დაიბადა (1675 წ.) და აღიზარდა კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციების მატარებელ ოჯახში. მან მიიღო უნივერსალური განათლება, საფუძვლიანად გაიცნო ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობა და საერო-მხატვრული ლიტერატურა, შეისწავლა ენები, ისტორია, ფილოსოფია, სამართალი, ასტრონომია, გეოგრაფია და ა. შ. გაიარა სათანადო რაინდული წვრთნა; გაიწაფა იგი სამხედრო-პრაქტიკულ დისციპლინებშიც.

ვახტანგს შესანიშნავი პირობები ჰქონდა სწავლისათვის; იგი სარგებლობდა სასახლის წიგნსაცავით, იყენებდა უძველეს ხელნაწერებს, ახლოს იყო ცნობილ მწიგნობრებთან, იზრდებოდა მწერალთა და მეცნიერთა წრეში. მის აღზრდას ხელმძღვანელობდნენ გამოჩენილი პირები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ამბავი, რომელიც ვახტანგის მიმართ მიუძღვის სახელოვან ქართველ მწერალსა და გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს სულხან-საბა ორბელიანს, რომელსაც სამეფო კარმა ვახტანგის აღზრდა დაავალა. ვახტანგის შემდგომი კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობა ცხადყოფს, რომ დიდებულმა აღმზრდელმა დავალება პირნათლად შეასრულა.

ვახტანგის, როგორც მომავალი სახელმწიფო მოღვაწის, მწერლისა და მეცნიერის ჩამოყალიბებაზე, მის სულიერ წრთობასა და ხასიათის ფორმირებაზე დიდი გავლენა მოახდინა როგორც ქართლის პოლიტიკურ-ეკონომიურ-მა მდგომარეობამ, ისე მისმა კულტურულმა გარემომ.

იმხანად ქართლში ირანელთა დამსჯელი რაზმები ძველებურად ველარ თარეშობდნენ და ქართველთა სახელმწიფოებრივი ორგანიზმის მოსპობაზე შაჰს ხელი აღებულის მქონდა (რაც ქართველთა ენერგიული ბრძოლის ბუნებრივი შედეგი იყო), მაგრამ უცხოელები კვლავ ბატონობდნენ და ადგილობრივ მოსახლეობას უმოწყალოდ ავიწროებდნენ. ვახტანგის ბიძამ, ქართლის მეფე გიორგი მეთერთმეტემ, ფართოდ გაშალა ანტიირანული საქმიანობა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გადაწყვეტ ფაშაში შევიდა, მაგრამ ირანელთა ძალმომრეობამ და შინაღალატმა ჩაშალა ეს წამოწყება. შაჰმა გიორგის ჩამოართვა ტახტი და თეიმურაზ პირველის შვილიშვილს, ერეკლეს გადასცა (1688 წ.). გიორგი ერთხანს ენერგიულად განაგრძობდა წინააღმდეგობას, მასთან იყო ვახტანგიც. გიორგიმ ვერ გაიმარჯვა. მრავალწლოვანმა უნაყოფო ბრძოლამ და მწარე მარცხმა მას რწმენა შეურყია. ქართველთა გაერთიანება არ მოხერხდა, ქართული სამეფო-სამთავროების შეკავშირება და მტრის წინააღმდეგ დარაზმვა შეუძლებელი გახდა, ჩრდილოეთ კავკასიაში მოკავშირეთა დაძებნა გაჭირდა, ხოლო საკუთარი ძალით გამარჯვების მოპოვების იმედი დაიკარგა. გიორგი შაჰს ეახლა და რამდენიმე წლის შემდეგ — ირანის საერთაშორისო-პოლიტიკური ვითარების გართულების, ავღანელებისა და ბელუჯების ამბოხებისა და ირანელთა არმიის სისუს-

ტის გამო — შესამჩნევად დაწინაურდა. 1703 წელს შაჰმა მას უბოძა ქართლი, მაგრამ სამშობლოში არ დაბრუნდა, მისცა ირანის სპასალარობა და ამბოხებულებთან ბრძოლა დაავალა. 1704 წლის სექტემბრიდან ქართლის მართვას შეუდგა გიორგი მეფის მოადგილე და ნაცვალი (ჩანიშინი) ვახტანგ ბატონიშვილი.

ქართლის ახალი გამგებლის მოღვაწეობა მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო. ვახტანგი გულისხმობდა ეკიდებოდა როგორც პოლიტიკურ საქითხებს, ისე აღმინისტრაციულ-ეკონომიურსა და პრაქტიკულ-სამეურნეო საქმეებს. მთელი მისი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივ-კულტურული საქმიანობა ღრმად იყო გააზრებული. იგი ორიგინალურად მოფიქრებული გეგმითა და პროგრამით მოქმედებდა და ყველაფერს აკეთებდა ქვეყნის პოლიტიკური გაძლიერების, ეკონომიური მოღონებებისა და კულტურის დონის ამაღლებისათვის.

ვახტანგის მიზანი სავსებით გარკვეული და კონკრეტული იყო: ირანელთა მოჩვენებითი მორჩილების ნიღბითა და მისი ოხტატური გამოყენებით ეროვნული პოლიტიკის გატარება, ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცება, შინაგანი ბრძოლით გაპარტახებული ქვეყნის ცხოვრების გარდაქმნა, მაჰმადიანთა ბატონობისღრმინდელ წეს-ჩვეულებათა უარყოფა და უსუგდება.

დასახელებული მიზნის მისაღწევად ვახტანგმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია, ერთი მხრივ, ქართული სამეფო-სამთავროების შეკავშირებასა და დასავლეთ საქართველოს ჩაბმას საერთო ქართულ საქმეში, ხოლო, მეორე მხრივ, საიმედო დამხმარე ძალისა და მოკავშირის ძებნას; გადაუღებელ ამოცანად დაისახა ყიზილბაშთა თვითნებობის აღაგმვა, ტყვის-სყიდვის მოხპობა, მართვა-გამგეობის მოწესრიგება, სამართლის ნორმების დადგენა, ქვეყნის ეკონომიკის განვითარება. იგი ყოველ დღეს ხმარობდა მშვიდობიანი შრომისათვის სათანადო პირობების შექმნის, მოქალაქეობრივი ცხოვრების მოწესრიგების, ეკონომიური მდგომარეობის გამოსწორებისა და ეროვნული ძალების გამოცოცხლებისათვის.

ვახტანგმა გარკვეულ წარმატებას მიაღწია: ყიზილბაშები შეავიწროვა, ირანელთა მიერ დამკვიდრებული წესები შეცვალა და ნაწილობრივ აღმოფხვრა კიდევ, მოწინააღმდეგე დიდებულები სასტიკად დათრგუნა და ცენტრალური ხელისუფლება განამტკიცა, ხელი მიჰყო გაუაკრებელი და გაპარტახებული ადგილების დასახლებას, გადაჭრით შეუტია ტყვის-სყიდვას, ჩაატარა დიდი მასშტაბის აღმშენებლობითი საქმიანობა, გააცხოველა ურთიერთობა დასავლეთისა და აღმოსავლეთის სავაჭრო ცენტრებთან, გაზარდა სახელმწიფო შემოსავალი და სხვ.

ვახტანგის გამგებლობის დროს შეინიშნება ქართლის არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი აღორძინება, არამედ მისი კულტურული დაწინაურებაც. ეს ხანა განსაკუთრებით ნაყოფიერია ქართული კულტურის **ესტორიაში**.

„სწორედ გახაოტარი ხანა იყო ეს ხანა! ასე დაუღალავი, მედგარი მუშაობა, რომელსაც ერთი საზოგადო მიმართულება ჰქონდა და ფართო და ღრმა ნიადაგი ებუქრა, უფლებას გვაძლევს ქართული მწერლობის ამ ხანას ენციკლოპედიური ხანა დავარქვათ სახელად. თითქმის ყველა ამდროინდელი მოღვაწის აზრი და გონება იმ ფიქრისაკენ იყო მიმართული, რომ ქართველი ხალხის შემოქმედებითი ნიჭის მრავალი საუკუნის ნამუშევარი და ნაჭირნახლევი შეეკრიბათ, შეესწავლათ და ჩამომავლობისათვის დამთავრებული, ყოველმხრივი წარმოდგენა და ცოდნა გადაეცათ. ამ დიადი საქმის მოთავედ და სულისჩამდგმელად დიდებული დაუვიწყარი ვახტანგი იყო“ (ი. ჯავახიშვილი).

ვახტანგი იყო პოეტი, მთარგმნელი და დიდად განათლებული მეცნიერი. (მართალია, მისი თხზულებების დიდი უმრავლესობა სამშობლოს გარეთ, უცხო მხარეში დაიწერა, მაგრამ მათი ავტორი არსებითად თბილისის კულტურის ნაწიარები მგოხანი და აქაურ ტრადიციებზე აღზრდილი მოაზროვნეა).

ვახტანგის ღრმაშინაარსიანი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა და ლიტერატურული მოღვაწეობა ხელხან-სახა ორბელიანის აღმზრდელობითი მუშაობის ბრწყინვალე შედეგია. გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ვახტანგის ყველა კულტურული წამოწყება მეტ-ნაკლებად მისი დიდებული აღმზრდელის სახელთანაა დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, უნდა დავსძინოთ, რომ მთელი ინტელექტუალური საქმიანობის მეთაური, ქართული კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობის ორგანიზატორი, იდეური წინამძღოლი და პრაქტიკული ხელმძღვანელი მაინც ვახტანგი იყო. იგი მრავალფეროვან და ნაყოფიერ საგანმანათლებლო და ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა; თხზავდა შესანიშნავ ლექსებს, თარგმნიდა თუ ათარგმნიებდა საყურადღებო ძეგლებს („ამირნასარიანი“, „ქილილა და დამანა“ და სხვ.), ამრავლებინებდა ხელნაწერებს და სხვ.

ვახტანგი თავისი პირადი მაგალითით, დაუღალავი შრომითა და უშრეტი ენერგიით აღაფრთოვანებდა თანამედროვეებს და მათ კიდევ უფრო აქტიური საქმიანობისაკენ მოუწოდებდა. იგი არა მხოლოდ თავისი შემოქმედებითი მუშაობით იყო გატაცებული, არამედ შეუწელებელი ინტერესით ადევნებდა თვალს სხვათა მოღვაწეობასაც. ვახტანგმა გარს შემოიკრიბა ცნობილი მწიგნობრები, დაახლოვა კულტურულ-ლიტერატურულ სარბიელზე ახლად

გამოსული მუშაკები; ვახტანგი პირადად ხელმძღვანელობდა და მფარველობდა, გულუხვად ეხმარებოდა და შემოქმედებით ცეცხლს გადასცემდა თანამოღვაწეებს. მან ქართლის კულტურულ-ლიტერატურულ ცხოვრებაში ჩააბა მოწინავე ქართველობა.

ცალკე უნდა აღინიშნოს ვახტანგის სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის რამდენიმე მომენტი.

ქართლის გამგებელმა დააარსა პირველი სტამბა თბილისში (1709 წ.) და გააჩაღა ფართო მასშტაბის საგამომცემლო საქმიანობა.

სტამბის დაარსება თბილისში სავსებით კანონზომიერი შედეგი იყო ქართული კულტურის იმ აღმავლობისა, რომელსაც იგი განიცდიდა XVIII საუკუნის დამდეგს. ვახტანგის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური, საზოგადოებრივ-ლიტერატურული და კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის საერთო ფონზე ადვილი გასაგებია თბილისში ქართული სტამბის დაარსების მიზეზი და ვითარება. ეპოქის კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრების ღირსეულ მეთაურს არ შეიძლებოდა ყურადღება არ მიექცია ამ საქმისათვის და არ ეზრუნა ქართული სტამბის გამართვაზე. მიუხედავად მაჰმადიანური გარემოცვისა, ტექნიკური სირთულისა და ფინანსური დაბრკოლებისა, მან მაინც შეძლო ამ საქმის დაგვირგვინება.

ვახტანგმა სტამბა გამოიყენა შესუსტებული მორალური პრინციპების გასაძლიერებლად. მეცნიერული ცოდნის გასავრცელებლად და მკითხველთა ფართო მასების გაზრდილი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად; ამ მიზნით მან გამოაქვეყნა როგორც სასულიერო-საეკლესიო შინაარსის წიგნები, ისე საერო თხზულება („ვეფხისტყაოსანი“), სასკოლო სახელმძღვანელო („სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“), მეცნიერული შრომა („იოთი“) და ა. შ. ვახტანგის სტამბის პროდუქცია ინტერესს იწვევს და მოწონებას იმსახურებს არა მარტო შინაარსობრივ-თემატიკური თვალსაზრისით, არამედ მხატვრულ-ტექნიკური კულტურის მაღალი დონითაც.

ვახტანგის სტამბის სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო მნიშვნელობა განუზომელია. თავდაპირველად იგი თითქოს მხოლოდ ქართლის მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად დაარსდა, მაგრამ მალე საერთო-ქართულ ეროვნულ დაწესებულებად იქცა და იქიდან გამოსული წიგნები მთელ საქართველოს მოეფინა (აღსანიშნავია, რომ ის იყო პირველი სტამბა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში).

დიდი წვლილი შეიტანა ვახტანგმა ქართული საბარათლებრივი სისტემის სრულყოფაში. მან დროულად შენიშნა მართლმსაჯულების

დაცემა და სასამართლო პრაქტიკის გადაგვარება. ამიტომ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მას და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიანიჭა, მრავალმხრივი ღონისძიებანი გაატარა არსებული ქაოსის დაკვიდრების, სამართლის მოწესრიგებისა და ერთიანი სახელმძღვანელო პრინციპების დადგენისათვის. თავის თანამოღვაწეებთან ერთად ვახტანგმა ჩაატარა შრომატევადი სამუშაო და შექმნა-ჩამოაყალიბა დიდებული კრებული, რომელსაც ჩვეულებრივ ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულს უწოდებენ. აღნიშნული კრებული ნათლად ავლენს საქართველოში დამკვიდრებულ მართლწესრიგს, ჭეროვნად წარმოაჩენს ხალხის მართლშეგნებას და ცხადყოფს ჩვენი სამართლებრივი სისტემის მაღალ დონეს.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ქართული სახელმწიფო, ადმინისტრაციული და სამეურნეო სამართლის ფრიალ საყურადღებო ძეგლი „დასტურლამალი“, რომელიც ვახტანგმა გამგებლობის პერიოდში შეადგინა. ამ წიგნმა ერთმანეთისაგან გამოიჯნა მართლმსაჯულება და მართვა-გამგეობა და თითოეულს თავისი სფერო მიუჩინა და შემოუფარგლა, დაამკვიდრა სამეფო დარბაზის წესრიგი, განსაზღვრა ხელისუფალთა უფლება-მოვალეობა, დააკონკრეტა მოხელეთა ფუნქციები და სხვ.

მშობელი ხალხის გულშემოტივარი გამგებლის სახელმწიფოებრივი სიბრძნე და აღმაიანური კეთილშობილება, პოლიტიკური გამჭრიახობა და დიპლომატიური წინდახედულობა, გონივრული მმართველობა და წინასწარგანჭვრეტილი პრაქტიციზმი, მისი ენერგიული აღმშენებლობითი და დაუცხრომელი კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა თანამედროვეთა პროგრესულ ნაწილში აღტაცებას იწვევდა და ქებას იმსახურებდა.

ვახტანგის გამგებლობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1712 წელს იგი შაჰმა დაიბარა და ქრისტიაანობის დაგმობა და მაჰმადიანობის აღიარება მოსთხოვა (ეს იყო წინაპირობა ქართლის ტახტის მიღებისათვის). ვახტანგი გრძნობდა, რომ საკითხი უფრო რთული იყო, ვიდრე გარეგნულად ჩანდა. მთავარი იყო არა აღმსარებლობა, არამედ პოლიტიკური მიმართულება. თუ ვახტანგი შეინარჩუნებდა მშობლიურ სარწმუნოებას, ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას უკეთ გაშლიდა და წარმართავდა, რჭულის შეცვლა კი შაჰის სამსახურში ჩადგომას და ირანელთა საქმის კეთებას მოასწავებდა. ვახტანგმა არ მიიღო შეთავაზებული წინადადება, რის გამოც შაჰის რისხვა დაიმსახურა და რამდენიმე წელი ირანელთა ტყვეობაში გაატარა. მხოლოდ გვიან, როდესაც უშედეგოდ დამთავრდა ხულხან-საბა ორბელიანის ელჩობა ევროპაში და ქართლის მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულდა, ვახ-